ოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი.

ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებასო თავ.

პარასკევი. 13 სექტემბერი 1918 წ.

შრომა

№ 28

ფასი 40 კაპ.

დასავლეთ ფრონტზე გერმანელები იერიშებს იგერიებენ.—ბაქოს შესახებ ცნობები არ მოგვსვლია

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома“, Баронская ул.* № 16 (*чертежная мин. земл.*) სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

რედაქციის მისამართი: *Тифлисъ Редакція газ. „Шрома“ Баронская ул.* № 16 (*чертежная мин. земл.*)

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„შრომა“-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 16 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარიამ მიხეილის ასული ტურაბელიძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ შვილები: ილიკო, ვასო, რძლები; მინადორა, ლიდია; შვილიშვილები: შალიკო, მარუსია, გიორგი და ნინა.

გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი ყოველდღე. მესხეთის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქ. ახალსენაკში

სექტემბრის 14. ნაშუადღევის 2 საათზე, პარტიის ბიუროში დანიშნულია სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის

სამაზრო კონფერენცია.

პროგრამა:

1. სამაზრო კომიტეტის მოხსენება.
2. მოხსენება ადგილებიდან.
3. პარტიებთან დამოკიდებულება.
4. ფრობა.
5. მიწის საკითხი.
6. სამაზრო კომიტეტის არჩევნები.

თვითეულმა ორგანიზაციამ გადამწყვეტი ხმის უფლებით გამოგზავნოს თითო წარმომადგენელი, ხოლო სათათბირო ხმით არა უმეტეს ორისა.

ს.-რ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტი.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

ქ. თბილისი, 13 სექტემბერი.

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ერთ უმთავრეს პირობას საღი ფინანსიური პოლიტიკა და სისტემა შეადგენს. ეკონომისტები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ თანამედროვე ეკონომიური ცხოვრებისათვის ფინანსები მთავარ ძარღვს შეადგენს, ფინანსიური საკითხის მოგვარება აუცილებელია ეკონომიური აყვავებისა და სახელმწიფოებრივი ძლიერებისათვის. აქედან აშკარაა, თუ რა მნიშვნელობა აქვს გარკვეულ ეკონომიურ და კერძოთ ფინმნსიურ სისტემასა და პოლიტიკას, განსაკუთრებით ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ფეხს ახლა იდგამენ. ჩვენი ფინანსების კრიტიკული მდგომარეობა ყველასათვის ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ ბონების ბეჭდვის გარდა რაიმე რადიკალური ზომები ამ დარგში ჯერ არავის წამოუყენებია. ფინანსიური კომისიიდან ეროვნულ საბჭოში შემოდის სხვადასხვა პროექტები, რომელთა შორის არ არის ორგანიული კავშირი. არა პირდაპირი გადასახადები, გადიდება სხვადასხვა ტარიფების— ეს ისეთი გზაა, რომლის მიზანშეწონილებაში დიდი ეჭვები შეიძლება შევიტანოთ, როგორც წმინდა ეკონომიურის, ისე პოლიტიკურის თვალსაზრისით. ფინანსთა სამინისტრო კი, როგორც ეტყობა, მხოლოდ ამ გზას ადგია. ამიტომ, ვიდრე ახალ პროექტებს შემოიტანდეს, კარგს იზამდა ფინანსთა სამინისტრო და თვით ფინანსიური კომისია, რომ ეროვნულ საბჭოს გააცნობდეს ჩვენი რესპუბლიკის საერთო ფინანსიურ პოლიტიკას, რათა უგეგმოთ არ იწარმოოს მუშაობამ ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიც არის სახელმწიფოს ფინანსები.

რუსეთის რევოლიუცია.

რუსეთის რევოლიუცია განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში მოხდა. ასეთი კომბინაცია სოციალ-ეკონომიურის და სხვა პირობების, რომლის მოწამე ჩვენ ვართ არ ახსოვს კაცობრიობას. როგორც მაშტაბით, ისე თვისი შინაარსით ეხლა ყოველივე განსაკუთრებულია.

მსოფლიო ომმა ისე შეარყია ცხოვრების ყველა ურთერთ-დამოკიდებულებანი და ისეთი სულ ახალი პირობებით გარემოცა ის, რომ შესაძლოა ვსთქვათ: ძველ ფორმებთან ერთად ძველი შინაარსიც წავიდა და სულ ახალი ურთიერთობანი, ახალი ღირებულებანი იქმნებიან.

ომმა დაამტკიცა, რომ ძველებურათ ცხოვრება შეუძლებელია. არსებული ურთიერთობანი და ცხოვრების მიმდინარეობის გეზი არა რაციონალურია. მის წინააღმდეგ შეგნებული რეალური პროტესტი გაისმის. ასეთი რეალური პროტესტი არსებულის წინააღმდეგ რუსეთის რევოლიუციაა. რამდენათ კრიტიკული და აუტანელი შეიქნა მდგომარეობა—იმდენათ მძლავრი და უპოვარია ცხოვრების სასიცოცხლო ძალების პროტესტი. რუსეთის რევოლიუციას განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს. რევოლიუციამდე რუსეთში ხრული ეკონომიური და პოლიტიკური მონობა სუფევდა. აბსოლიუტიზმი პოლიტიკაში, აბსოლიუტიზმი ეკონომიკაში-აი რა ახასიათებდა რუსეთის ცხოვრებას. მრავალ თაობის თავგანწირულმა ბრძოლამ ვერაფერი ნაყოფი გამოიღო. ყოველ რევოლიუციონურ გამოსვლებს ჩანასახშივე ახრჩობდენ და შემდეგ დგებოდა კიდევ უარესი შავბნელი ხანა. სატანა ხარხარებდა. ხალხი გმინავდა. ბნელეთი თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა. მსოფლიო რეაქციის ბურჯათ რუსეთი ითვლებოდა. ბევრი სკეპტიკურათ მსჯელობდა. მან რუსეთს ჯვარი დაუსვა, მისგან კეთილს აღარ მოელოდენ. მაგრამ სულ სხვას ვხედავთ. რუსეთი სამაგალითო ქვეყანა შეიქნა.

რუსეთის რევოლიუცია თავისი თავისებურობით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სხვა რევოლიუციები შაბლონს ვერ გასცილდენ. მათი ქანი შეტად ვიწრო იყო. არსებითი ცვლილება სოციალურ ურთიერთობაში არ შეუტანიათ. ამ გარემოებამ განსაკუთრებული თეორიებიც შექმნა. ინერტიულ მსოფლ მხედველობის გამომუშავებას შეუწყო ხელი. რადგან ყველგან რევოლიუციები ერთი შაბლონით ხდება—აქედან ლოდიკური დასკვნა—მომავალშიც ასე მოხდება. სოციალ-ეკონომიური ურთერთობა თანდათან შეიცვლება. ერთბაშათ ძირითადი ცვლილების მოხდენა შეუძლებელია. ასე მსჯელობდენ ინერტიულ მსოფლ მხედველობის მატარებელნი. რუსეთის სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. რევოლიუცია შეეხო სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობასაც და არა სახუმროთ. მიწის საკითხი ძირიანათ გადაჭრა. მიწის სოციალიზაცია, რაც რუსეთის მთელმა მშრომელმა გლეხობამ დაჟინებით მოითხოვა, ცხოვრებაში თითქმის გატარებულია, ვამბობ თითქმის იმიტომ, რომ სოციალიზაციის სრული გატარება ერთი აქტით არ შეიძლება. ის მეტათ რთული საქმეა და ბევრ პირობებს მოითხოვს, სრული რეალიზაციისათვის.

ბოლშევიკებმა, როგორც არა ერთხელ აღვინიშნავს, თვისი ანარქიული მეთოდით ძლიერ შეუშალეს ხელი მის ცხოვრებაში გატარებას. ეხლა, როგორც დეპეშები გვატყობინებენ, რუსეთის ბატონ-პატრონი იხვევ ესერები ხდებიან. მათი სისტემატიურ, მეთოდიური მუშაობა ბევრს გააკეთებს ხსენებულ დარგში. სოციალიზაციის განხორციელებით სულ იცვლება რუსეთის ეკონომიკის ხასიათი. კი მართალია კაპიტალისტური წარმოება მიწის სოციალიზაციის განხორციელებით არ მოისპობა, მაგრამ თვით ხასიათი მისი განვითარებისა სულ სხვა იქნება. ეს გარემოება კი საყურადღებოა. ის ფაქტიური გამართლებაა იმ კრიტიკო-აქტიური, დინამიური მსოფლმხედველობისა, რომელიც წინააღმდეგ ინერტიულ, სტატიურ მარქსიზმისა, მუდამ ამტკიცებდა, რომ ფატალურად სოციალური პროცესი არ მიმდინარეობსო.

რუსეთის რევოლიუცია სწორ გზას აღგება. მისი ხელმძღვანელობა ხალხის მოჭირნახულეთა ხელში გადადის და ღრმად გვწამს, რომ ის თვის ლოდიკურ დასკვნამდე მივა,

ფოთოლი.

პრესა.

გაზეთი „სახალხო საქმე“ ეხება ქალაქთა გაერთიანების იდეას და სხვათა შორის, სწერს:

„ქუთაისის ქალაქის თავთან ერთად ჩვენც მოვითხოვთ საქართველოს ქალაქების კავშირს და ამ კავშირის დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოს ქალაქების კავშირთან“. თავისთავად ცხადია, რა კი ამიერკავკასია დღეს სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკას შეადგენს, ყოველი რესპუბლიკა თავის ქალაქების კავშირს შექმნის, მაგრამ ნუ თუ ამისთვის აუცილებელია ამიერკავკასიის ქალაქებს შორის ის კავშირი გაწყდეს, რომელიც ასე თუ ისე არსებობდა?!

„თვით საქმისათვის საჭიროა ჩვენთან იყოს დაკავშირებული არა მარტო ერთი ქალაქი სხვა სახელმწიფოსი, არამედ მთელი კავშირი ქალაქებისა,“ განაგრძობს გაზეთი.

სრული ჭეშმარიტებაა. ამიტომ ჩვენი მოთხოვნილება უნდა იყოს არ გავწყვიტოთ ამიერ კავკასიის ქალაქებთან კავშირი და ამავე დროს შევქმნათ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების საკუთარი კავშირიც.

* * *

გაზეთი „ერთობა“ საერთაშორისო დემოკრატიის მდგომარეობას ახასიათებს და სხვათა შორის აღნიშნავს:

„პროლეტარიატი (იგულისხმება ევროპის პროლეტარიატი, მეპ.) ამჟამად მზად არ არის ძალა უფლება ხელში ჩაიგდოს და თავის დიქტატურა გამოაცხადოსო,“

ასე ამბობენ დღეს მარქსისტები, მაგრამ თვით მარქსი კი, ჯერ კიდევ მე 70 წლებში მოელოდა სოციალურ რევოლიუციას და პარიზის კომუნას, რომელიც, ენგელსის სიტყვით, პროლეტარიატის ნამდვილი დიქტატურა იყო და მხურვალე სალამს უძღვნიდა!. „ერთობა“ განაგრძობს: „კარლ კაუცკის მთელ თავის უკანასკნელ ნაწერებში შემდეგი აზრი აქვს გატარებული: საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება იმ სახით **უნდა მოხდეს**, რა სახითაც კარლ მარქსს აქვს ეს აღნუსხული თავის უკვდავ ნაწარმოებ „კაპიტალში“. საოცარია როგორ უნდა წავიდეს ცხოვრება ისე, როგორც ეს კაპიტალში სწერია, როდესაც ის **უკვე არ მიდის** ამ გზით?

ჩვენ ფინანსიური კაპიტალიზმის ხანაში ვცხოვრობთ, რომელმაც თავის მოწოდება პირნათლად შეასრულა და მსოფლიო გახვია ომის ცეცხლში. ფინანსიური კაპიტალიზმის ბუნებაზე და ისტორიულ მისიაზე მარქსის კაპიტალში ბევრი არაფერია ნათქვამი, მარა მარქსისტებს სწამთ, რომ ცხოვრება მაინც ისე წავა, როგორც ეს კაპიტალში სწერიაო. ნეტარ არიან მორწმუნენი!

ეროვნული დემოკრატები და სოფელი.

დაგვრჩა ერთი საკითხი, რომელსაც აუცილებლათ უნდა შევეხოთ. ეს არის ეროვნულ დემოკრატების შემადგენლობა. ვისგან შესდგება ეს პარტია?

ეროვნული დემოკრატების პარტია ჩვენში გამოვიდა ოფიციალუად 1914 წელს. ის გამოეყო ქართველ ფედერალისტებს. როგორც ყველამ იცის ბეჯითი სოციალისტები და მედგარი რევოლიუციონერები ფედერალისტები არასდროს არ ყოფილან, მაგრამ მიუხედავათ ამისა ეს ჯგუფი ფედერალისტებს მაინც გამოეყო. აშკარაა, ეს ჯგუფი იმდენად არა დემოკრატული იყო, რომ თვით ფედერალისტების დემოკრატიზმიც მას აუტანელ სიმძიმეთ მოეჩვენა!

ეროვნულ დემოკრატებში თავი მოიყარა ძველმა ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ, ან საზოგადოებრივმა ინვალიდებმა, როგორც უწოდა მათ ჩვენმა გაზეთმა. ამ ძველ ნაციონალისტებს მიემატა გზაკვალ აბნეული ორიოდე ახალ გაზდა, რომლებიც წინედ ხალხისთვის იღწოდენ, მაგრამ რეაქციის შემდეგ მშრომელ ხალხს უღალატეს და მის მოწინააღმდეგის—შეძლებულ კლასების ბანაკში გადაბარგდენ. ამ ჯგუფის პოლიტიკური ფიზიონომია თავიდან არ იყო სავსებით გამორკვეული, ის სოციალიზმსაც ებღაუჭებოდა, დემოკრატიზმსაც, ერსაც და ბერსაც, მაგრამ ნათქვამია შუბი ხალთაში არ დაიმალებაო და ეროვნული დემოკრატების პოლიტიკურ საზოგადოებრივ ვინაობასაც თანდათან ფარდა აეხსნა. ყოველი პოლიტიკური პარტია ხომ რაიმე საზოგადოებრივ ძალებს ეყრდნობა. ეს ძალები, გამოდიან რა თავისი კლასობრივი ინტერესებიდან, უკარნახებენ თავის პარტიას მის პოლიტიკას, მის მოღვაწეობას. ასევე დაემართა ეროვნულ დემოკრატებს. მათი ბუნდოვანი წერილობითი განცხადებანი თავის პარტიის ხალხოსნურ (იაეკალაძის ტერმინია) მიმართულებაზე და უაღრეს პატრიოტიზმზე, მხოლოდ სიტყვად დარჩა და ჩვენს საზოგადოებას მოევლინა ახალი ფეოდალურ-ბურჟუაზიული პარტია. დიახ, ფეოდალურ-ბურჟუაზიული! ეს პარტია ცდილობს დღეს თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში შეაერთოს ორი ისტორიული—თავად აზნაურული არისტოკრატია და ახლად ფეხ ადგმული და ჯერ კიდევ მეტად სუსტი ჩვენი ბურჟუაზია. მაშასადამე ის ემყარება ორ სოციალურ ჯგუფს—ფეოდალურსა და ბურჟუაზიულს. პირველი ამათგანი ისტორიამ უკვე განწირა მისი მომავალი მხოლოდ სიკვდილია, ხოლო მეორე ჯერ კიდევ აკვნიდან არ ამოსულა, ამით აიხსნება, რომ ეს პარტია ჩვენში არსებულ ყველა პარტიებზე უსუსურია, უბადრუკია. ეს ორი კლასი ისტორიულად ერთი მეორეს ებრძოდა, სამკვდრო სასიცოცხლო ომს უცხადებდა. ეროვნულმა დემოკრატებმა მოისურვეს ამ ორი კლასის შერიგება, ერთად გულში ჩახუტება. ამით აიხსნება, რომ სახელით და პროგრამით ბურჟუაზიული პარტია, საქმით აშკარა შავრაზმული აღმოჩნდა! ბურჟუაზია ეძებს ექსპლოატაციის უფრო ზრდილობიან ფორმებს, ფეოდალური არისტოკრატია კი მუდამ ბრწყინვალე დესპოტიზმისაკენ იხედება. ის ამაყობს თავისი მემკვიდრეობითი პრივილეგიებით და სძულს ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლენი, როგორც არა კეთილშობილი პროფესიის ხალხი. ყველა ეს აძლიერებს მათ შორის ანტაგონიზმს, ინტერესთა წინააღმდეგობას.

უნდა ითქვას, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში კაპიტალიზმს მტაცებლური, ჩარჩული ხასიათი აქვს. მისი მისია რეაქციონერია და თავის ბუნებით უახლოვდება ფეოდალიზმს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეროვნულმა დემოკრატებმა თავიდან მიზნათ დაისახეს ამ ორი ანტაგონისტის ერთად შეერთება და ორივეს მფარველობა. მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ფეოდალური არისტოკრატიის საერთო ნივთიერი ჩამოქვეითების და რევოლიუციის მეგრ გამოწვეულ კრიზისის გამო, მემამულეებს სჭირდებათ განსაკუთრებული ზრუნვა. არაჩვეულებრივი ზომები, რათა მათი შერყეული მდგომარეობა გაუმჯობესდეს, გამოკეთდეს. მაგრამ ამას ვერ შესძლებს ის პარტია, რომელიც ფეოდალების ინტერესებს მხოლოდ ერთი ხელით იცავს. ამნაირად ეროვნულ-დემოკრატების წინაშე ისმება ახალი პრობლემა ან სავსებით აგრარიებს დაეყრდნონ, ან ბურჟუაზიას მიეკედლონ. ორივე შემთხვევაში ეროვნულ დემოკრატების პარტიას დანაწილება და დაუძლურება მოელის, ეს აუცილებელია ბურჟუაზიული პარტიების ერთი დამახასიათებელი თვისება ყოველგან არის ის, რომ ეს პარტიები მდიდარი არიან ინტელიგენტური ძალებით. ეროვნულ დემოკრატებს არც ეს უპირატესობა აქვთ, მათ ემხრობა ერთი მუჭა ინტელიგენცია, რომელსაც ხალხში არავითარი გავლენა არ აქვს.

ხოფლელი.

დეპეშები

ბერლინი. 11 სექტემბერი. დასავლეთის ფრონტი. ინგლისელების შემოტევის დროს ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ტყვეები, პერონ კაბბრეს სამხრეთით ინგლისელების სასტიკი იერიშები ძლიერდება. მტერმა მოაღწია ჩვენს მოწინავე ხაზებს. ცოტა ხნის შემდეგ მტერმა უკან დაიხია. დაგვრჩა 3000 ტყვე, ელეტის და ენის რაიონში საარტილერიო ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო, საღამოს მტერი შეტევაზე გადავიდა, მაგრამ იძულებული იქნა უკან დაეხია.

სტამბოლი. 11 სექტემბერი. პალესტინის ფრონტი. ხდება კერძო ხასიათის შეტაკებანა. იორდანის დასავლეთ. შეეტაკეთ მტრის რაზმს, რომლებსაც დიდი ზარალი მივაყენეთ.

სხვა საყურადღებო არაფერი მომხდარა

ვენა 11 სექტემბერი. პიავის ფრონტზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი 11 სექტ. გერმანელების იერიში ვუპის სამხრეთით უკუქცეულ იქნა. ფრანგებმა ხელთ იგდეს ტყვიის მფრქვეველები და ტყვეები. ლიაფოს მიდამოებში გერმანელებმა ექვსჯერ სცადეს ჩვენს პოზიციებზე მოახლოება, მაგრამ ექვსივე ჯერ უკუქცეულ იქნა.

კიევი. (ბერლინიდან) მოხალისეთა ჯარი (?) გელენჯიკის სამხრეთით მოდის და დღენახევრის სავალზეა ტუაფსედან.

ახალი ამბავი

— **პირდაპირი მატარებელი.** გუშინიდან დაინიშნა პირდაპირი მატარებელი თბილისიდან ერივანში.

— **მადლობა.** ს. რ. თბილისის ორგანიზაცია მადლობას უცხადებს მოქალაქე მ. მამულაშვილს უდროოდ გარდაცვალებული ამხ. ტიროევის დასაფლავებაზე ცოცხალი ყვავილების გვირგვინის შემოწირვისათვის.

— **სტამბოლში** წავიდა სომხეთის მთავრობის რწმუნებული ბაბალიანი: მას მიეცა ინსტრუქციები სომხეთის მთავრობისა და სომხეთის დელეგაციის მიერ ოტომანის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ.

— **აჩაღობა.** თიანეთის მაზრაში თარეშობს აჩაღების ბრბოები და თავზარს სცემს ადგილობრივ მცხოვრებთ.

— **ბაქო.** ბაქოს ოსმალთა ჯარები კიდევ ესვრიან ზარბაზნებს. გერმანიის მისიის განცხადებით ოსმალეთი და გერმანია ბაქოს საქმეში არ ერევა, და მოლაპარაკების საქმე ენდობა საქართველოს როგორც დაინტერესებულ მხარეს.

— **მანეთი გერმანიაში.** საქართველოდან მიიღება გერმანიაში გასაგზავნი ფული. გერმანიის მისია, რომელიც ამ ფულს აგზავნის, მანეთს 40 კაპიკათ ღებულობს.

სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ წარუდგინა საქართველოს მთავრობას თავის მოსაზრებანი ოსებისათვის იარაღის აყრის შესახებ. პროექტში ნათქვამია, რომ იარაღის აყრა უნდა მოახდინონ ადგილობრივმა ძალებმა და შეგროვილი იარაღი დარჩეს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომ ოსები დარწმუნდენ, რომ იარაღი სხვაგან არ მიაქვსთ.

— **ბომბა.** გუშინ, საღამოს 8 საათზე ვორონცოვის ძეგლთან „ფორუზას“ სასტუმროში გავარდა ბომბა. იმ ოთახში, სადაც აფეთქება მოხდა ნახეს ვინმე ნიკ. ივ. წერეთლის სურათი. ერთი საათის შემდეგ ეს წერეთელი დაჭერილ იქნა.

— **დაჭრა.** გუშინწინ 11 სექტემბერს, საგანგებო რაზმის უფროსი პორ. ბერძენიშვილი უეცრათ გავარდნილ ყუმბარის ნატეხებით მარჯვენა ფეხში დაიჭრა. დაჭრილი საავათმყოფოში მოათავსეს.

— **განათლების სამინისტრომ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქნას ყველა სასწავლებლების შენობები, რომელიც ამჟამათ დაკავებულია გერმანელ ჯარისა და ლტვოლვილების ბიერ.

— **მიხეილ ზანდუკელი** დაინიშნა თფილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორათ.

— **გ. გ. ფირცხელაური.** გზათა მინისტრის ბრძანებით აღიკურვა განსაკუთრებული უფლებით საქ. რესპუბლიკის ყველა გზებზე. მას პირდაპი დაექვემდებარებიან სახაზინო გზათა უფროსი და კახეთის რკ. გზის გამგე. მასვე მიენიჭა უფლება განყოფილებების უფროსთა თანაშემწეებამდის მოსამსახურეთა მიღებისა და დანიშვნა დათხოვნის.

— **საქ. რესპუბლიკის მთავრობა** ადგენს განსაკუთრებულ ორგანიზაციას, რომლის მიზანი იქნება დაარსოს აბასთუმანში სანატორიუმი ავათმყოფთათვის. სანატორიუმში მიიღება მხოლოთ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეები. სანატორიუმით ისარგებლებს აგრეთვე საავათმყოფო კასები: ამ მიზნით შრომის სამინისტრო 17 სექტემბერს საღ. 6 საათზე სამინისტროს შენობაში ნიშნავს თათბირს, სადაც დაესწრებიან საავათმყოფო კასების წარმომადგენლები.

— რკინის გზათა მმართველობის ყველა განყოფილებაში 13 სექტემბერს მოხდება რესპუბლიკის სახაზინო გზათა მუშა ხელოსნებისა და მოსამსახურეების ყრილობისათვის დელეგატების არჩევნები.

— პეტრე-პავლეს ციხიდან განთავისუფლებული იქნა ვ. დ. დუღაძე, რომელსაც სამუდამო კატორღა ჰქონდა მისჯილი.

— სასოფლო კომისიამ დაადგინა ამ დღეებში გაგზავნოს აგრარულ რეფორმის გასატარებლათ თფილისის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებში ეროვნულ საბჭოს შემდეგი წევრნი: მ. კლიმიაშვილი, ბ. ყენტი, რ. ჩიხლაძე, გ. ცინცაძე და კ. ანდრონიკაშვილი.

— ქბილის შემოტანა. სასურსათო სამინისტრო აწყობს ტრანსპორტს ყაზბეგის რაიონიდან ქბილის შემოსატანათ. პურს შემოიტანენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ინგუშეთით.

— საავტომობილო განყოფილებამ უკვე აწერა 600 საბარგო და სამგზავრო ავტომობილი. ორგანიზაციული მუშაობა ძლიერ გაჩაღებულია. ეწყობა სახელოსნოები და გარაჟი.

— შავი ზღვის რკინის გზა. თფილისში ამ ჟამათ იმყოფება შავი ზღვის რკინის გზის მაშენებელი საზოგადოების წარმომადგენელი ინჟ. მატრიონინსკ., რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს გზათა სამინისტროსთან შავი ზღვის რკინის გზაზე მუშაობის განახლების შესახებ. სამუშაოს 80 პროც. დასრულებულია. არ არის გამორკვეული ვინ შეუდგება ამ გზის აშენებას. კერძო პირი თუ მთავრობა.

ქუთაისის ამბები.

— **საგუბერნიო ციხეში** ამ ჟამათ 429 ტუსაღი არის.

— **ბოლშევიკების ჩამოყვანა.** 6 სექტემბერს, ლეჩხუმიდან ჩამოიყვანეს ბოლშევიკური ბანდების მეთაურები, რიცხვით 62 კაცი და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

— **უწესრიგობა დაწესებულებებში.** თითქმის ყველა დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი ზოგიერთებში საშინელი უწესრიგობა არის გამეფებული. მოსამსახურეთა სურვილზეა დამოკიდებული, განსაზღვრული დროის განმავლობაში მათი დაწესებულებებში ყოფნა, არ ყოფნა. არის ზოგან ისეთი შემთხვევაც რომ მოსამსახურეთ სრულიადაც ვერ იხილავთ, მიუხედავათ იმისა, რომ ამ დროს მუშაობა უნდა სწარმოებდეს. დაგვიანებას და თავის დროზე მოუსვლელობას ხომ ანგარიში არა აქვს. სასურსათო კომიტეტში კი, მოსამსახურეები, უსაქმობის გამო, სხვა და სხვა გასართობებით იქცევენ თავს. საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს.

— **პ. პ. მხეიძის თავხედობა.** 9 სექტემბერს, ღამის 10 საათზე, მე-12 პოლკის პრაპ. მხეიძე შევიდა კაფეში, სადაც გერმანელები ისხდენ და რევოლვერის მუქარით აიძულა ისინი გარეთ გასულიყვენ. ღვინით გალეშილი მხეიძე უყვიროდა გერმანელებს: თქვენ აქ ჩამოსვლის ნება ვინ მოგცათო. მხეიძეს თან ახლდა ცხენოსანი ჯარის-კაცები, აქედან ისინი წასულან ბალახვნის და სხვა ქუჩებით, სადაც ათას გვარ უწესოებას ახდენდნენ და ბოლოს მოადგენ ორპირის ქუჩაზე გამყრელიძის ცირკს, სადაც წარმოდგენა შეაწყვეტინეს, ხალხი წივილ-კივილით გარეთ გამორეკეს და მუსიკის დაკვრის შემდეგ გზას გაუდგენ. ყოველივე ეს ეცნობა პოლკ. ანჯაფარიძეს, რომელმაც მხეიძე დაპატიმრა და პასუხისგებაში მისცა. ამბობენ, გერმანელებმა ყოველივე ეს თბილისში მთავრობას აცნობესო. ხალხში ასეთი ქცევა მხეიძისა დიდ უკმაოფილებას იწვევდა.

სოფლეთში.

— დილიჟანის და ყაზახის რაიონებში გამოცხადებულია პურის მონოპოლია. საქმის ორგანიზაცია მიენდო ეროვბას, რომელიც უკვე საქმეს შეუდგა.

— მიღებულია ზომები, რომ პური შემოიტანონ მეზობელ სახელმწიფოებიდან.

— ერივანში აკრძალულია იარაღის ტარება კერძო პირთა მიერ.

— იუსტიციის მინისტრის თაოსნობით ერივანში შესდგა რამოდენიმე კრება სომეხ იურისტების. რუსის სასამართლოს სომხურ პირობებთან დასაახლოვებლათ. გამოითქვა აზრი, რომ რუსული სასამართლო სომხეთში უნდა დარჩეს. შემცირდება მხოლოთ მოსამსახურეთა შტატი.

— ქარავან სარაიში გაუქმდა სარევოლიუციო კომიტეტის მოქმედება.

— მთავრობამ გადასდო 100 ათასი მანეთი ხოლერასთან საბრძოლველათ.

— გადაიდო 300,000 მ. სომხეთის ტერიტორიის მცხოვრებთა ასაწერათ.

— ერევნის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიეცეს ქალაქს მილიციის შესანახათ 470 ათასი მანეთი.

აგდულ-კერიმ-ფაშა.

სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენელი აბდულ კერიმ-ფაშა.

სტამბოლის კონფერენცია.

ერთი თვეა რაც სტამბულიდან გამოვედი სთქვა მან, და ამიტომ ამ ჟამად არა მაქვს ხელთ ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაშია სტამბულში კონფერენციის მოწყობის საქმე. ჩვენი რწმენით ეს კონფერენცია შესდგება და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ პირთ, რონელნიც სტამბულში არიან მისული, როგორც კონფერენციის წევრნი, ჩვენ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მათი მუშაობა ნაყოფიერი იქნება და ყველა სადაო საკითხები უმტკივნეულოდ და სამართლიანობის მიხედვით გადასწყდებიან.

ბაქოს ვითარება.

ბაქოს ვითარების შესახებ მე სრულიად არავითარი ცნობები არ მაქვს, გარდა იმ ცნობებისა, რომელნიც, უთუოდ, ყველას მოეხსენება, და რომელიც შეეხება ბაქოში [illegible] წასვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის ფრონტი.

დასავლეთის ფრონტის ზოგიერთ ადგილზე გერმანიის ჯარის ცოტაოდენ უკან დახევას დროებითი და გარდამავალი მნიშვნელობა აქვს.

თუმცა ინგლისი და საფრანგეთი ყველი კუთხიდან აგროვებენ ჯარს, დასავლეთის ფრონტზე, მაგრამ მათი ორგანიზაცია, სამხედრო საქმეებში გამოცდილება და ცოდნა სრულიად ვერ შეედრებიან გერმანიის ჯარის უდიდეს ორგანიზაციას, დისციპლინას და მომზადებას.

ამას გარდა ჩემი ღრმა რწმენით, ბოლოს და ბოლოს უნდა გაიმარჯვოს მან, ვის მხარეზეც სიმართლეა. რადგანაც სიმართლის მფარველი ყველგან განგება არის. ამ დიდ მსოფლიო ომში სიმართლე კი გერმანიასა და მოკავშირეთა მხარეზეა. ამიტომ მე დაწმუნებული ვარ, რომ დასავლეთის ფრონტზედაც ისევე გაიმარჯვებს ოთხთა კავშირი, როგორც მან სხვა ფრონტებზე გაიმარჯვა.

* * *

მე მაქვს განსაკუთრებული მისია, [illegible] მელიც მდგომარეობს იმაში, რომ ოსეთსა და საქართველოს შორის [illegible] შეიძლება მალე დამყარდეს კეთილმეზობლური განწყობილება. მე ქართველების და საქართველოს მეგობრად ვთვლი ჩემს თავს, და არავითარ შრომას არ ვზოგავ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ მიზანს მივაღწიო და საქართველოს მთავრობის და ქართველი ხალხის დახმარებით, სრული იმედია, რომ ეს ორივე მხარისათვის, დიდათ სასარგებლო [illegible] წყობილება ახლო მომავალში ჩვენ შორის დამყარდება.

თურქული პრესა.

მუჰამმედ მ-ნ ტახტზე ასვლისა თალათ-ფაშის თავმჯდომარეობით [illegible] დგარ ახალი კაბინეთის შესახებ [illegible] მბოლოში ცნობილი გაზეთი „თესკირი ქარი“ სხვათა შორის შემდეგს გადმოცემს:

„ომის დამთავრების შემდეგ წყალ[illegible] მოლეულ წისქვილივით რომ არ დავ[illegible] ახლავე ახალმა კაბინეთმა მომავლისა[illegible] უნდა იზრუნოს, სამზადისს უნდა შ[illegible] გეს.

დღეს თუ ხვალ, ღმერთმა დაგვიფა[illegible] მაგრამ სამარცხვინო და უნუგეშო მ[illegible] მარეობაში რომ არ მოვექცეთ. დ[illegible] მეტად სერიოზული მოფიქრება გვ[illegible] რება და თანაც გაბედული მოქმედ[illegible]

ადმინისტრაციის „მოღვაწეობა“

გაზ. „ახ. საქმე“ გადმოგვცემს ბულაღის საშინელ ამბებს. ეს ა[illegible] მეტათ დამახასიათებელია ჩვენი [illegible] მინისტრატიული აპარატისა.

ალბულაღს 600 კაცამდე ბრბო [illegible] გა დასარბევათ, ადგილობრივი მო[illegible] ძალები ელაპარაკებიან ხასახლეს [illegible] ლისში. აი როგორ მოგვითხრობს ა[illegible] ბავს კორესპონდენტი:

აპარატთან იყო მორიგი მოხელე[illegible] სთხოვეს დაუყონებლივ აპარატთან [illegible] ყვანა რომელიმე მთავრობის წევრ[illegible] და საბჭოსი; მოხელემ სიტყვა [illegible] შემდეგი გვიპასუხა: „во дворцѣ [illegible] го нѣтъ, кромѣ сторожей и шв[illegible] ровъ, и гдѣ ихъ искать ей Бог[illegible] знаю“ ამის შემდეგ სთხოვეს მას [illegible] თვის ტელეფონით დაეძახნა და გ[illegible] რასაც ვეტყოდით: ცოტა ხნის შ[illegible] იგი გვეუბნება: „Несмотря на вс[illegible] ранія, никакъ ниодного министр[illegible] телефону не могъ дозваться—[illegible] ქართულად დასძინა: „ასეა ჩემო ბ[illegible] თავისუფლებაა და ყველას სძინ[illegible] საშუალება აღარ იყო და ვსთხოვ[illegible] ეღო დეპეშა და იმავ წუთში გ[illegible] კურიერის საშუალებით დანიშნულ[illegible] მებრ, ამაზე გვიპასუხა: „ვალ[illegible] ლის ათ საათამდე, თქვენ [illegible] არავინ წაიკითხავსო“!—გადავეცა[illegible] პეშა, ამასობაში უკვე მოისმ[illegible] ხმა და დავრწმუნდით, რომ ავ[illegible] შეუდგნენ ბოროტ მოქმედებას. ი[illegible] გაიტანეს ნახევარი საწყობი, რადგ[illegible] ლამდე მეტი ვერ მოასწრეს. დილ[illegible] ლახლა ემცნო თფილისს საქმის ვ[illegible] ბა, დილასვე გავიგეთ, რომ ი[illegible] დაამთავრებდნენ იმ საწყობის გაძ[illegible]

შემდეგ გაძარცვავდნენ სასურსათო საწყობს, შემდეგ აფიცერთა საკრებულოს, შემდეგ არა სამწყობრო ასეულს და ბოლოს, ალბად, ეწვეოდნენ აფიცრების ბინებს. ეს იყო 27 მარიობისთვეს. ამავე დილას თბილისის შტაბიდან გადმოვვეს, რომ 28 საღამოს. ალბულახში მოვიდოდა მეხუთე პოლკის ერთი როტა; ეს გაიგეს მცხოვრებლებმა და იძახდნენ: როტა კი არა, თუ უნდათ ბათალიონი გამოგზავნონო და ნახვენ როგორ შემობრუნდებიან ალბულახშიო. უკვე ცხადი იყო, რომ მათ განზრახული ჰქონდათ წინააღმდეგობის გაწევა. ყველანი გრძნობდნენ რომ ალბულახის ცა იღრუბლებოდა ლ მეხიც-მალე გავარდებოდა; ვფიქრობდით და დარწმუნებულნიც ვიყავით რომ როგორი როტაც უნდა გამოეგზავნათ თფილისიდან ალბულახში—ვერას გაწყობდა და აჰყრიდნენ იარაღს; ეს ერთი სირცხვილი იქნებოდა და მეორეც ეს, რომ მდგომარეობა უფრო გამწვავდებოდა. უფროსმა აფიცრებმა იფათბირეს და მივიდენ იმ დასკვნამდე რომ ან უნდა გამოეხოვათ ძლიერი ძალა, ანდა ეს როტაც უნდა დაებრუნებინათ. ტელეგრაფით ამის გადაცემა შეუძლებელი იყო ამიტომ ყველანი გაიგებდნენ და აფიცრების სიცოცხლე განსაცდელში ჩავარდებოდა. გადაწყდა კაცის გაგზავნა; დაოვნება შეუძლებელი იყო და ღამის ორ საათზე ამ სტრიქონების დამწერი შესვეს ცხენზე და გაისტუმრეს თბილისისაკენ. საღამოს 9 ნახევარ საათზე აქ ვიყავი. რადგან იმ დროს შტაბებში ვერავის ვნახავდი, მსურდა დრო არ დამკარგოდა და სხვაგან გამეგო რამე. მე იმედი მქონდა გედევანიშვილის რაზმის და ღამის 10 საათზე ს.-ფედერალისტების ბიუროში ვიყავი უკვე;—მაგრამ გავიგე, რომ ამ დღეს გედევანიშვილი თავის რაზმით წასულიყო სამეგრელოში; იმავე წუთს გავეშურე წითელ გვარდიის შტაბში, იქ მითხრეს, რომ ვერავის გამატანდნენ, რადგან ხალხი ცარსკია კოლოდცში არის გაგზავნილიო და მირჩიეს მაშინვე მიმემართნა მთავრობისთვის, რომელსაც სხდომა ჰქონდა. მივედი და ვნახე მინისტრთა თავმჯდომარე ჟორდანია დაწვრილებით გავაცანი მდგომარეობა და ცსთხოვე მაშინვე მოეხდინა განკარგულება შეიარაღებული ძალის გასაგზავნად, მან მიპასუხა, განკარგულება უკვე მოხდენილია და ხვალ საგუბერნიო კომისარი მაღლაკელიძე თავის რაზმით უნდა წავიდეს ალბულაღშიო; თუ არ იკმარებს, მოვილაპარაკოთ და დღეს გიშოვნი ხალხსო; თანაც მიბრძანა, მეორე დილას ადრე მიმეყვანა მასთან მაღლაკელიძე, დილის ცხრა საათზე უკვე საგუბერნიო კომისარიატში ვიყავი, იძულებული ვიყავი მეცადნა 11 საათამდე, რადგან კომისარს ეძინა. დაახლოებით 12 საათზე მიმიღო კომისარმა და მოვახსენე ყოველივე; მიპასუხა, რომ მინისტრის ბრძანების საპასუხოდ მან წასვლაზე უარი განაცხადა, რადგან ცოტა ხალხი ჰყავს,—არა აქვს ტყვეიის მფრქველები და „გრუზავიკები"—მეორე, არ ჰსურს, რომ თავის ხალხი დაუქვემდებაროს სამინისტროს—მესამე და მეოთხე ის, რომ თავის ბათალიონის უფროსს რომ უბრძანოს წასვლა იგი მაინც უარს იტყვისო. ჟორდანიასთან ჩასვლაზედაც უარი განაცხადა, რადგან გერმანელთა მისსიაში მივდიოდა... მხოლოდ საქართველოში მგონია შესაძლებელი იყოს ასეთი კურიოზი: მინისტრთა თავმჯდომარე უბრძანებს გუბერნიის კომისარს გაჭირვების დროს ზომების მიღებას და იგი უარს ამბობს; მინისტრთა თავმჯდომარე უბრძანეს კომისარს დანიშნულ საათზე მასთან მივიდეს და იგი არ მიდის, რადგან სხვა-განაქეს საქმე; კომისარი უბრძანებს ბათალიონის უფროსს საჭიროების დროს ხალხის გაგზავნას და ეს უკანასკნელი მაინც არ ასრულებს ბრძანებას და ადმინისტრაცია არ იღებს ზომებს სახელმწიფო ქონების დასაცავად.

კურთხეულია ჩვენი ქვეყანა. რომ უბედურ ვარსკვლავზე არ იყოს დაბადებული.

პატარა ამბები.

— ქ. სარატოვში გარდაიცვალა ნ. გ. ჩერნიშევსკის ცოლი.

— მოსკოვში სახლების ზედა სართულში ყველგან სდგამენ პულემიოტებს და საბრძოლველათ აწყობენ, ამ მხრით საბჭოთა მთავრობა დიდ მზადებაშია.

— ავსტრიიდან კიევში ჩამოსული რუსი ტყვეებიდან 50 პროც. დაჭლექიანებულია. 12 ათასი კაცი სულიერათ დაავათმყოფებული. ასეთ მდგომარეობაში არიან ის პირები, რომელნიც ავსტრიელებმა ჯანმრთელების სიაში ჩარიცხეს და სამშობლოში გამოუშვეს.

— ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომი ფართოვდება და საშინელ ხასიათს ღებულობს, მობილიზაცია გამოაცხადეს როგორც ბოლშევიკებმა. ისე ყაზახებმა. ყაზახთა მოძრაობას სათავეში უდგას ოზდოკის გლებ-ყაზახური საბჭო. რომელმაც უკვე მოახდინა 10 მილიონიანი სესხი. ოსებში განხეთქილება სუფევს იმის გამო თუ ვის მივემხროთო. ნაწილი უკვე იბრძვის ბოლშევიკებთან ერთად, ნაწილი წინააღმდეგია მათი.

— როგორც ინგლისელი გაზეთები გადმოგვცემენ, რუსეთში ყოველი ადგილობრივი საბჭო საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს და არავინ ცენტრალურ მთავრობას არ უწევს ანგარიშს, რის გამო ცენტრალური მთავრობა შეიძლება ითქვას დიდი ხანია რუსეთში აღარ არსებობს.

— რუსეთში ხშირია შემთხვევები, რომ სხვა და სხვა კომიტეტების მოსამსახურენი ახდენენ სიმულიაციას და დაწესებულებას აცარცვიებენ ყაჩაღებს. შემდეგ ალბათ „მოგებას" ძურათ იყოფენ.

— კურსკის გუბერნიის საავათმყოფოდან 1000 შეშლილი გაიქცა.

— საბჭოთა მთავრობამ გადასდო 300 მილიონი მანეთი ჩეხო-სლოვაკებთან საბრძოლველათ.

სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა.

მოხსენება

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ხალხის განათლება ერთი უძლიერესი ფაქტორია ხალხის ცხოვრებისა და სიმდიდრის განვითარებისთვის. შრომის ინტენსიობა დამოკიდებულია მუშის ხელოვნებაზე, რომელიც თავის მხრით იმის გონებრივ განვითარებისგან წარმოსდგა და საერთო განათლების ხარისხით, ტექნიკური მომზადებით განისაზღვრება. ამიტომაც მოწინავე ქვეყნები დიდ სიუხვეს იჩენენ ხალხის განათლების საქმეში: მათ თავის საბიუჯეტო პოლიტიკაში კანონად გადაუქციეს ის დებულება, რომ ხალხის განათლებისათვის თვითეული ზედმეტად დახარჯული კაპეიკი, უსათუოდ იმავე ხალხს მანეთს მოუტანს. ამ გზით მოწინავე ქვეყნებმა მუშათა კლასები მეტ ინტერესიურ შრომის წარმომადგენლებად გადააქციეს და მით დიდი ინდუსტრია და ეკონომიური ძლიერება შექმნეს.

საუბედუროთ, რუსეთში მთავრობა ყოველთვის ხელს უშლიდა, აფერხებდა სწავლა განათლების საქმეს. სახალხო განათლების სასურველ ნიადაგზე დამყარება რუსეთის მთავრობას არ მოსურვებია თვით შიგ რუსეთშიაც და ეგრეთ წოდებულ განაპირა ქვეყნებში. ამ მხრით ხომ მდგომარეობა ზედმეტად აუტანელი იყო.

მძიმე, ხანგრძლივი გამოცდილება ქართველი ხალხისა გვიმტკიცებს, რომ საქართველოში გაღებული გარკვეული თანხა არ ხმარდებოდა განათლების ნამდვილ საჭიროებას; ეს თანხა ხელს უწყობდა იმ მიზანს რომლის მისაღწევად ყოფილ რუსეთის მთავრობამ ჩვენში სკოლა მხოლოდ პოლიტიკურ პროპაგანდის იარაღად გახადა. ამ მიზნის წყალობით ოფლით შეძენილი კაპეიკი ჩვენი, ქართველი მუშისა ანუ ქართველი გლეხისა თუ ხანდახან მის სამშობლო სოფელს უბრუნდებოდა, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მისი სიმშიდე დაერღვია, სული ბავშვისა გაერყვნა. დღესაც პირობები სავსებით არ შეცვლილა. საჭიროა იმგვარი ზომების მიღება, რომ მართლა განხორციელდეს ხალხის საერთო განათლება და ეს დიდი საქმე ახალ საფუძველზე დამყარდეს; სკოლების გარეგანი პირობების ცვლილებით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ, სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ სკოლების შინაგან წესწყობილების გადაკეთებაზე, მათ შინაარსზე; დროა ვიფიქროთ სკოლის რეფორმაზე, ხალხის სწავლა განათლების საქმეში ჩვენ ნორჩ სახელმწიფოს მთელ სივრცეზე.

განათლების სამინისტრო ამ ახლო მომავალში გამოარკვევს სკოლის სახალხო განათლების საქმის ახალ ორგანიზაციას და თავის მოსაზრებებს მინისტრთა საბჭოს წარმოუდგენს. დღეს კი განათლების სამინისტროს არ შეუძლიან უურადღება არ მიაქციოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობას.

სრული და ნათელი ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ დღევანდელ პირობებში მასწავლებელთა შრომა მეტისმეტად აუტანელია; ოცდახუთი ანუ ოცდაათი ყოველკვირეული გაკვეთილი, რომელიც შეადგენს სასტიკ და საჭირო ნორმას მასწავლებლისათვის, შეუძლებელია დაახლოვებით კარგად მისცეს დამიანმა.

როდესაც მასწავლებლის შრომის საათების რაოდენობას ანგარიშობენ მხედველობაში არ ღებულობენ, თავდაპირველად, გაკვეთილების დროს ზნეობრივ და გონებრივ ენერგიის აუარებელ ხარჯვას, ეს გარემოება კი ნებას არ გვაძლევს გაუთანასწოროთ ეს საათები სხვა რომელიმე შრომის საათებს და შემდეგ გაკვეთილებისათვის ყოველდღიურ მომზადების აუცილებლობას და საჭიროებას. მასწავლებლის მოთხრობა, ანუ გარმატება ახსნა უნდა იყოს; უსათუოდ სისტემატიურად დალაგებული, საუცხოოდ დასურაუთებელი, ჩამოყალიბებული ნათელ, გარკვეულ და ლამაზ ფორმაში. ამისათვის კი საჭიროა ხანგრძლივი შრომა და ფიქრი. ეს ყოველდღიურ შრომა იმისათვის, რომ გაკვეთილებისათვის მოემზადოს, მოითხოვს მასწავლებლისაგან 2—3 საათს. დაუმატეთ ამას ავრეთვე ერთი-ორი საათის მუშაობის საჭიროება, რომ მასწავლებელმა წაიკითხოს წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, რათა მან არ დაკარგოს სახე კულტურულ ადამიანისა და ჩვენ დავინახავთ, რომ მასწავლებლების ყოველდღიური შრომის რაოდენობა განისაზღვრება 9—10 საათით. ამ გვარი ყოველდღიური შრომა შესაძლებელია განსაკუთრებულ პირობებში ერთი თვის, დიდი—ორი თვის განმავლობაში; მაგრამ როდესაც მასწავლებელი ამგვარ შრომას განუწყვეტლივ რამდენიმე წლის განმავლობაში ეტანება. უეჭველია იგი ფიზიკურად და ინტელექტუალურად სუსტდება, მას ეკარგება კეთილშობილურ ადამიანურ ყოველ გვარითვისება და რაღაც უსულო მანქანად იქცევა. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ მასწავლებელი გაცლებით უფრო ადრე კვდება ფიზიკურად და ფსიქიურადაც, ვინემ რომელისამე სხვა პროფესიის წარმომადგენელი.

ეს აუტანელი მძიმე შრომა და მასთან დაკავშირებული უმწეო მატერიალური მდგომარეობა აიძულებს მასწავლებელს თავი დაანებოს თავის პროფესიას და სხვა რამე საქმეს მოჰკიდოს ხელი. ხშირად ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე მასწავლებელი გაურბის სკოლას და მით—სახალხო განათლების დიდი საქმე მუდამ დაქვეითებული იყო და დღესაც ფერხდება. დღეს მდგომარეობა უფრო უნუგეშოა, უფრო გამწვავებული. სახალხო სკოლის მასწავლებელი წარმოუდგენელ შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაშია. თუ სახელმწიფომ სწრაფი ზომები არ მიიღო, სახალხო განათლების საქმე დიდ საფრთხეშია: მასწავლებელი ვერ შეასრულებს თავის კულტურულ როლს სოფლად და ქალაქად და თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ემსახურება, მას და მისს ოჯახს ფიზიკური გადაგურება მოელის და სახელმწიფოს მოვალეობაა შეუნარჩუნოს მას ადამიანური ძალები. დღეს სხვა მხრივ მისს მდგომარეობის და შრომის გაუმჯობესების შესაწებ ვერას გახდებით. ერთადერთი საქმე, რომელიც შესაძლებელია დღეს—ეს მისი მატერიალურ მდგომარეობის ცოტად თუ ბევრათ გაუმჯობესებაა, რომ ამ გადამწყვეტ ისტორიულ მომენტში მან თავისი კულტურული დანიშნულება პირნათლად შეასრულოს და მით ნორჩ სახელმწიფოს სათანადო ხამსახური გაუწიოს.

დღეს სახალხო სკოლის მასწავლებელს 210 მ. აქვს თვეში: აქედან 120 მ. მისი ძირითადი ჯამაგირია, 90 მ. კი სიძვირის გამო დამატება. 210 მან. ყოვლად შეუძლებელია მასწავლებლის და მისი ოჯახის უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ის წარმოუდგენელი სიძვირე, რომელიც ეხლა ჩვენშია, შეუძლებელ ქმნის მასწავლებლის ცხოვრებას. მასწავლებლის წინაშე ამგვარი ალტერნატივაა დღეს: ან უნდა დარჩეს სკოლაში და სიმშილით მოკვდეს, ან და უნდა დაანებოს სკოლას თავი და სხვა პროფესიაში მოსძებნოს ხსნა. ამისთვის, თუ კი გვინდა სახალხო სკოლის მასწავლებელი შევინარჩუნოთ დაუყონებლივ ჯამაგირი უნდა მივუმატოთ.

რასაკვირველია, სრულიად უზრუნველყოფა მისი მთავრობას არ შეუძლია, მაგრამ ცოტათი უნდა შეუმსუბუქოთ მდგომარეობა. განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ სასურველი იქნებოდა—სახალხო სკოლის მასწავლებელს თვიური ჯამაგირი ოთხასი მანეთი ჰქონოდა, მაგრამ, ეს ზედმეტად დიდ ხარჯვებს გამოიწვევს. ამიტომ ამთავად აუცილებლათ მიაჩნია, რომ სახალხო სკოლის მასწავლებლის ჯამაგირი უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირს გაუთანასწოროთ.

უმაღლეს დაწყებით სკოლების მასწავლებლები დღეს ღებულობენ თვეში 325 მან. მაშასადამე სახალხო პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებს უნდა მოემატოს თვეში 115 მან.—განსხვავება 325 მ. და 210 მ.

ამ ჟამად თბილისის გუბერნიაში 790 მასწავლებელია, ქუთაისის—1736, ხოლო სოხუმის—200.

ამგვარად მიმდინარე 1918 წლის პირველ სექტემბრიდან 1919 წლის პირველ იანვრამდე საჭირო იქნება ზედმეტი ხარჯების დასაფარავად:

1. თბილისის გუბ. სახალხო სკოლების 790 მასწავლებლებს:

115 მ.×790=90.850 მან.

2. ქუთაისის გუბ. 1736 მასწავლებელს:

115 მ.×1736=199.640 მან.

3. სოხუმის ოლქის 200 მასწავლებელს;

115 მ.×200=23.000 მან.

სულ თვიურად . . 313.490 მან.

ხოლო 4 თვეში

313.490 მ.×4——=1.253.960 მან.

განათ. მინისტრი გ. ლასხიშვილი.

დედანთან სწორია:

უფრ. საქმ. მწ. პ. ლეჟავა.

რას ფერენ ჩვენზე?

გაზეთ „ტანინ"-ში ამ სათაურით მოთავსებულია წერილი, რომელიც ახასიათებს ოსმალეთის პოლიტიკას კავკასიაში და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გადალახვის აუცილებლობას. გაზეთი აცხადებს, რომ არსებითათ კავკასიაში ოსმალეთისთვის არ არსებობს ბრესტის ხელშეკრულების პირობები. ეს დებულება მტკიცდება და მართლდება ყოველნაირი საბუთით, რომელნიც გამოიხატებიან შემდეგში: კავკასიაში არ არსებობს ისეთი ძლიერი სახელმწიფოები, რომელთაც შეეძლოს ოსმალეთის გადასროლა ძველი საზღვრებისაკენ. შეიძლება სთქვან, სწერს გაზეთი, რომ ჩვენმა მოქმედებამ კავკასიაში გადააჭარბა ბრესტის ხელშეკრულების მოთხოვნილებებს, ეს დებულება გარეგნულათ შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ არსებითაც არა აქვს რაიმე მნიშვნელობა. არც ერთი ხელშეკრულება არ არ არის ისეთი, რომელიც ვალდებულებას მხოლოდ ერთ მხარეს ადებდეს. ხელშეკრულება სავალდებულო უნდა იყვეს ორივე მხარეებისათვის, იმისთვის, რომ ოსმალეთმა იცნოს და მიიღოს ბრესტის პირობები, საჭიროა რომ რუსეთი წარმოადგენდეს კავკასიაში პასუხისმგებელ სახელმწიფოს. მაგრამ რამოდენიმე თვე გადის და კავკასიაში ჩვენ ვერ ვიხილეთ რაიმე რუსეთის სახელმწიფოს მსგავსი. რომ ჩვენ ამ ქვეყანაში (კავკასიაში) გვეპოვა ისეთი პასუხისმგებელი სახელმწიფო, რომელიც იკისრებდა ჩვენი საზღვრების ხელუხლებლობის გარანტიას, ჩვენ ვიმოქმედებდით ბრესტის ხელშეკრულების მიხედვით. მაგრამ რადგან კავკასიაში არ იყო ნასახი იმ სახელმწიფოსი, რომელმაც ჩვენთან ზავი შეკრა ბრესტ-ლიტოვსკში ჩვენ იძულებული შევიქენით ამ რაიონისთვის ყურადღება მიგვექცია. მოვლენათა სრბოლამ ჩვენ გვაიძულა თანდათან შევეჭრილიყავით კავკასიაში და მოგვეხდინა მისი ევაკუაცია. ასე რომ არ მოგქცეულიყავით ჩვენ გვექადოდა იქ გამეფებულიანარქია. რომელიც ჩვენს ქვეყანაზე გავლენას მოახდენდა ისე, როგორც აწი მოახდენს გავლენა კავკასიაში დამყარებული წესწყობილება. ეხლა დავთ რა, რომ სრულიად დაუინტერესებელი და კავკასიაზე ნაშრომები ხალხები ხელს უფათურებენ კავკასიის საქმეებში და მეორეს მხრით ვიცოდით რომ ინგლისი გვექადიდა სპარსეთიდან და კავკასიიდან—ჩვენ ომის შემდეგ არ შეგვეძლო გულხელ დაკრეფა და ამ საქმისთვის გულ გრილათ ცქერა."

სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების სამარის კომიტეტის ხლათფორმა.

სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების კომიტეტის „უწყებაში" დაბეჭდილია შემდეგი დეკლარაცია:

„საბჭოთა მთავრობა დაემხო და ბოლშევიზმი დამარცხდა მთელ ტერიტორიაზე; მთავრობა ამჟამად დამფუძნებელ კრების კომიტეტს ექვემდებარება, მაგრამ მოიძებნებიან კიდევ ისეთი პირნი, რომელნიც ოცნებობენ საბჭოთა მთავრობის აღდგენაზე. საზოგადოების ნაძირალებთან ერთად ეს პირნი აღეგებენ და მოუწოდებენ მუშებს და გლეხებს ახალი მთავრობის საწინააღმდეგოდ, რისთვისაც მათი შეუგნებლობით და უორგანიზაციობით სარგებლობენ. ისინი არწმუნებენ მუშებს, რომ ისინი კვლავ მოხვდებიან კაპიტალის კლინჭებში, გლეხებს უკანვე ჩამოართმევენ მიწებს და მემამულეების შემყურე დარჩებიან.

სინდის-რა აშკარა პროვოკაციათ ასეთ აგიტაციას, კომიტეტი აცხადებს, რომ მას არა აქვს არავითარი საფუძველი და რომ ბოლო მოუღოს ამ პროვოკაციას, საყოველთაოდ აცხადებს:

1. ერთხელ და სამუდამოდ გადავიდეს გლეხების ხელში მიწა და კომიტეტი არავის შისცემს ნებას, რომ ეს მიწები ჩამოერთვათ გლეხებს აკრძალულია სამეურნეო მნიშვნელობის მიწისა და ტყეების ყიდვა-გაყიდვა, ხოლო საიდუმლო და ფიქტიური ხელშეკრულებანი გუქმებულად ითვლებიან. დამნაშავენი პასუხის გებამი იქნებიან მიცემულნი.

2. შრომის დაცვის არსებული კანონები და დადგენილებანი ძალაში რჩებიან მანამდე, სანამ კანონმდებლობა ახალი წესით იქნებიან შემუშავებული ახალი კანონები.

3. შრომის უწყებას, როდესაც შრომის კომისარიატის ადგილი უჭირავს, ევალება თვალყური ადევნოს ხსენებული კანონებისა და დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას და სასამართლოსა და საგამომძიებლო უწყებას ეკი-მკაცრი და სწრაფი გამოძიება, თუ სადმე ექნება ადგილი ამ კანონების დარღვევას.

4. ანარქიისა და ქვეყნის ნგრევის თავიდან ასაცილებლად გლეხებსა და ფაბრიკებს ევალებათ კანონიერი გზით დაიცვან თვისი ინტერესები.

5. მუშათა ყოველგვარი დათხოვნა და წარმოების შეჩერებისთვის, თუ გაჭირვებამ დაამტკიცა, რომ ასეთი დათხოვნა და შეჩერება წარმოების გაჭირვებული პირობებით არ არის გამოწვეული და მთავრობის საწინააღმდეგოდ არის მიმართული, სასტიკად დაისჯებიან ასეთი მწარმოებელნი.

6. წარმოების დახურვა უნდა მოხდეს სახელმწიფო სამეურნეო ორგანოთა მეშვეობით (სახალხო სამეურნეო საბჭო, ანდ ეკონომიური საბჭო).

7. შრომის უწყებას ევალება შრომის დაცვის ორგანოთა სათანადო ორგანოების შექმნა საგუბერნიო ქალაქებში და მათი შემწეობით სამაზროებში.

8. საპროფესიო კავშირთა კანონით განსაღვრული უფლებანი ძალაში რჩებიან, სანამ ხელახლა გადათვალიერებულ იქნებიან კანონმდებლობითი წესით

შრომის დაცვის კანონთა გადათვალიერების დროს მოწვეულ იქნებიან შრომისა და მწარმოებელთა წარმომადგენლნი.

9. კოლექტიური ხელშეკრულებანი რჩებიან ძალაში, სანამ ორივე მხარე არ შეთანხმდებიან და არ გამოიმუშავებენ ახალ ხელშეკრულებათ.

მასთან ვიღებთ-რა მხედველობაში ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და მეურნეობის ინტერესებს, რომელნიც ბოლშევიკებმა უფსკრულის კარამდე მიიყვანეს და გვაქვს-რა სურვილი დახმარება გაუწიოთ ვაჭარ-რეწველთა იმ საუკეთესო წარმომადგენლებს, რომელნიც გულწრფელად მიისწრაფიან სამშობლოს აღორძინებისაკენ და მოწადინებული არიან ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგინონ ნორმალური მეურნეობა, დამფუძნებელ კრების კომიტეტი აგრეთვე თავის მოვალეობად სთვლის განაცხადოს შემდეგი:

1. მწარმოებელთ ნება ეძლევათ მოსთხოვონ მუშებს მუყაითი და ნაყოფიერი შრომა სამუშაო დროს განმავლობაში, რომელიც კანონითა და ხელშეკრულებით არის განსაზღვრული და დაითხოვონ ამ მოთხოვნილებათა დამრღვევი მუშები. რასაკვირველია, არსებულ სათანადო კანონების თანახმად.

2. მწარმოებელთ ნება ეძლევათ დაითხოვონ წარმოებაში მყოფი ზედ მეტი მუშები, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელონ არსებულ კანონ—დადგენილებით.

კომიტეტის თავმჯდომარე ვოლსკი.

კომიტეტის წევრები ნ. შემელიოვი, ი. ნესტეროვი, პ. ბელოზეროვი, ი. ბრუშვიდი, პ. კლიმოშკინი და ვ. აბრამოვი".

სასურსათო საკითხი

(იხ. „შრომა" № 27)

დ) მიმწოდებელი განყოფილება.

უნდა შემუშავდეს ახლავე სხვადასხვა პირობები—ნორმა, შკოლა გაცვლისა; უნდა გამოირკვეს რა გვაქვს და რა არა.

რეკვიზიცია—ეს უკიდურესი ზომაა და მხოლოთ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა ქონდეს ალაგი.

როცა რეკვიზიცია კანონს გარეშე ხდება, მაშინ რეკვიზიცია ავაზაკობად და ყაჩაღობად იქცევა, უნდა იყოს გამოკვლეული რადარა სანოვაგე ანუ სხვა ნაწარმოები სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენდეს; როგორ უნდა მოეწყოს ამ შემთხვევაში ყიდვის საქმე, გატან-გამოტანისა და სხვა...

რესპუბლიკა უნდა დაიყვეს რაიონებად და ამ რაიონებში სამინისტროს წარმომადგენელი, რწმუნებული დაინიშნოს. უნდა შემუშავდეს ინსტრუქცია რწმუნებულთათვის, უფლება და მოვალეობა უნდა განისაზღვროს.

უნდა მოწვეულ იქნან მცოდნე ინსტრუქტორები. ჩვენ საკმაოდ გვყავს ამისთანა ძალები და ვერ მოგვიხმარია.

სამინისტროსთან უნდა მოეწყოს ლაბორატორია გამოსაკვლევად ხორბლეულისა, ფქვილისა და სხვათა. უნდა შემუშავდეს ნორმალური კონდიციები და პირობები ყიდვისა, კონტრაქტებისა. ყოველ კვირაში ორჯერ უნდა იყოს კრებები სხვადასხვა კითხვების გადასაწყვეტად. კრებებზედ უნდა იყოს უეჭველად მიწვეული სახელმწიფო კანტროლი, ან მისი წარმომადგენელი. უნდა მოეწყოს ორი თვის კურსები სასურსათო მოხელეების მოსამზადებლად. ყოველი თანამდებობის დაჭერა გამოცდით უნდა იყოს

უეჭველად საჭიროა სამინისტროს დაუყონებლივ გაეროვნება. თავისთავად ცხადია, რომ ამას დიდი ღრმა მნიშვნელობა აქვს თვითონ საქმისათვის.

მოხელეების ნივთიერი მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს.

აი მოკლედ ის, რაც უნდა ეხლავე მოკლე ხანში გატარდეს, რომ სასურსათო სამინისტრომ თავისი დანიშნულება გამართლოს.

სამსონ ასათიანი.

„მეგობართა საუკეთესოები".

ამ ბოლო დროს გაზეთებში ხშირათ იბეჭდება წერილები, რომელნიც ააშკარავებენ გერმანიისა და ოსმალეთს შორის არსებულ უთანხმოებას.

გაზეთი „ნიუს ცაიტუნგი" სწერს: უეჭველია, რომ ოსმალეთის მთავრობამ მიზნად დაისახა მიითვისოს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირები კასპიის ზღვამდე. ამ ადგილებისაკენ ოსმალეთმა გადაისროლა მთელი თავისი სამხედრო ძალები, ასე რომ სირია და მესოპოტამია მტერს მიუტოვა ხელში. ოსმალეთის ყველა თავისუფალი ძალები ამ დაპყრობითი მიზნისთვისაა ამოძრავებული. დანარჩენი ფრონტები არავითარ დახმარებას ოსმალეთისაგან არ ღებულობენ, ინგლისელების შემოტევა მესოპოტამიაში შეჩერებულ იქნა მხოლოთ ავსტრიელ ჯართა შემწეობით. ოსმალეთს შეეძლო ინგლისელების დამარცხება ბაღდადის მხარეში. ბაღდადს ისეთი მდგომარეობა აქვს, რომ ძლიერ საჭიროა ის გერმანიის ინტერესების თვალსაზრისით. შეუძლებელია, რომ ამ მხარეს ინგლისელები ბატონობდენ, რადგან ისინი ხელს უშლიან გერმანიის წინსვლას აღმოსავლეთში, ამრიგათ დღის საკითხი სდგას ოსმალეთის პოლიტიკის შეცვლის შესახებ. შეიძლება ის ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ სირია და მესოპოტამია და ოსმალეთმა კი ამ დროს სხვა ქვეყნები შეიძინოს"?!

ასეთი საყვედურით არის სავსე გაზეთი „შტუტგარტ—ტაგებლატის" ფურცლები. სხვათაშორის ეს გაზეთი სწერს: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ გერმანიას სრულიათ არა აქვს სურვილი დაკმაყოფილოს თავის მოკავშირეების სულელური სურვილები". საერთოთ ირკვევა, რომ ოსმალები კავკასიას ასე ადვილათ არ სცილდებიან და ეს მოვლენა გერმანიაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ნ. ფულუკიძის გასამართლება.

(სტენოგრაფიული ანგარიში. იხ. „შრომა" № 27)

გვაზავა: ჩემი ქმარი რო ჩამოვა ხოლმე, იმისთვის იქნება საჭირო ოთახი, შემდეგ დიდიაც იქ დაბინავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა თავადი, თავადის ჩამოსვლის შემდეგ გადმოიტანა იქ აბაკელიამ ბარგი. აბაკელიას ბარგის გადმოტანაზე არ გაუცხადებია თავადს უკმაყოფილება. მეორე კვირას მითხრა თავადმა, რომ არაბიძე მივუგზავნე გობეჩიას, იქნება როგორმე დაიყოლიოს ბინის განთავისუფლებაზე. შემდეგ შემხვდა თავადი და მითხრა: „რა ქნეს?" გადადიან თუ არაო? „ჩვენ დროებით ვცხოვრობთ და გადავალთ მეთქი". რამდენიმე დღის შემდეგ შარვაშიძე მოვიდა მეულლით და სწორედ ფულიკიძის ბინაზე ჩამოხტნენ. სწორედ იმ დღეს, როდესაც ის უბედურება მოხდა, დიდიამ მკითხა, „განათების ფულს ვინ შეიტანსო", მე ვუპასუხე, რომ თუ მთელი ბინა სამად გაიყოფა, მაშინ ყველა თავის ხვედრს გადიხდის მეთქი. ამ ბაასის შემდეგ გადავეცი, რომ დღეს ჩვენ არა გვქონია სინათლე მეთქი რაზედაც მიპასუხა, რომ ელექტრონის განათება აღარ იქნება, რადგან მავთულები გადასჭრეს ამ დილასო. სადილს შემდეგ მოვიდა ავტომობილით ფულუკიძე, მასთან უფროსი შვილი იყო: ქალაქდში გახვეული რაღაც შეინახა ავტომობილში, მასთან კიდევ ორი ახალგაზდა იყო, ერთი ჯარისკაცი წითელი ქუდით, მეორე კი ბუხრის ქუდით. შემდეგ კნეინა შარვაშიძისა მოვიდა და ფულუკიძის ოთახში შევიდა. იქიდან გამოსვლისას მითხრა, რომ დღეს გადადის თავადიო. შემდეგ მე თვითონ გავიგონე თავადის სიტყვები: რადგან ექვსი დღის განმავლობაში არ გადავიდნენ აქედან, ეხლა მე გადავალ, მაგრამ ძვირად კი დავუსვამ; დედა შემერთოს ცოლად, თუ სამაგიეროო არ გადაუხადო; ოთხჯერ გაიმეორა ეს სიტყვები. ორივეს მოვესპობ გობეჩიას და აბაკელიასაც. თუ გობეჩია არ მოვკალი, დედა შემერთოს ცოლადო; ამ დამუქრებაზე ვუპასუხე, გეფიცებით ყველას, რომ რადგან შეგაწუხეს, შეგავიწროვეს, ამ დილას გადმომცა გობეჩიამ, რო სულ ახლო მომავალში გადავლენ აქედან, რადგან ძმ. გობეჩიებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ ყოველ ნასადილევს ენახულებიათ დედა, როდესაც თავადის დამუქრება შემომესმა, მართლა ეშვი შემეპარა, ვაი თუ აუტეხოს რამე გობეჩიებს და გადავწყვიტე მათი გაფრთხილება და გავექანე ჩიქოვანისაკენ, სადაც ისინი სადილობდნენ. გოლოვინის პროსპექტით წავედი, მითხრეს ჯერ სადილობენო, ვიფიქრე შემდეგ ვეტყვი მეთქი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ გზაში ავცდით ერთმანეთს. მე აივანზე ვუცდიდი და ისინი კი ლორის-მელიქოვის ქუჩით წამოსულიყვნენ. სულ ცოტა ხნის განმავლობაში სროლის ხმაც გავიგონე და ის იყო დაჭრილი გობეჩია გაატარეს ავტომობილით. ქ. ჩიქოვანი საფეხურზე შედგა და ჰკითხა: „ვალოდია, რა დაგემართა, სისხლი გდის?" გობეჩიამ უპასუხა: „წულუკიძემ მომკლა!"

თავმჯდ: ნათესავი ხართ, გობეჩიების, თუ რად სცხოვრობთ მათთან?

გვაზავა: არავითარი ნათესავი არა ვარ; ჭრა-კერვა მასწავლეს და 1903 წლიდან მაგათთან ვცხოვრობ.

თავმჯდ: დიდმა დრომ გაიარა თქვენი იმ ბინაზე გადასვლიდან, რომ წულუკიძე ჩამოვიდა?

გვაზავა. კარგაღ, აღარ მახსოვს ერთმა კვირამ თუ 10 დღემ განვლო.

თავმჯდ: ხშირად მიდიოდა სადმე წულუკიძე?

გვაზავა: ხშირად როდესაც ღამით მიდიოდა, ხან ადრე ადიოდა, ხან ძლიერ იგვიანებდა.

თავმჯდ: მთვრალი ხომ არ გინახავთ როდისმე?

გვაზავა. ხშირად, მოსულა მთვრალი, მაგრამ ცუდი არავისთვის.....

თავმჯდ: მხოლოდ კითხვებზე მოგვეცით პასუხი.

გვაზავა: ორჯელ ვნახე მთვრალი.

თავმჯდ: როგორ გაიგეთ, რომ მთვრალი იყო?

გვაზავა: თვითონა სთქვა რომ ნასვამია.

თავმჯდ: არეულობა რომ მოეხდინა, ლანძღვა გინება ხომ არ დაუწყია?

გვაზავა: არა.

თავმჯდ: მისი მეუღლე როდის წავიდა?

გვაზავა: ორი კვირა იქნებოდა.

თავმჯდ: გილაპარაკნიათ რამე წულუკიძის მეუღლესთან?

გვაზავა: დიახ.

(შემდეგი იქნება)

ტექნიკური ტერმინოლოგია.

(გაგრძელება)

Паз—ზუბანა.
Пакля—ქერელი, ნაძენძი.
Папоротник—გვიმრა, ჩადუნა.
Параллельное—соединеніе—პარალელური შეერთება.
Паропровод—ორთქლსადენი.
Парус—აფრა.
Пар—ორთქლი, ბუღი,
Пемза—თირი.
Пень—ჯირკვი.
Перегонка—გამოხდა, გასწრობა.
сухая „ მშრალი.
вразрѣженном пространствѣ—„ გათხელებულ სივრცეში.
Передача движенія—მოძრაობის გადაცემა.
„ Электрическая „ ელექტრონული.
„ Ременная „ თასმით ლვედით.
„ веревочная „ თოკით.
„ цѣпная „ ჯაჭვით.
„ гибкая „ მდრეკი.
„ жесткая „ უდრეკი.
Переключатель—გადასაღები.
Перемѣнный ток—ცვალებადი ნაკადი.
Перепонка—აფსკა.
Перекись—გადაჟანგი, ჟანგბარბი.
Переплавка—გადადნობა
Передаточный—გადამცემი
„вал — " ღერძი
„ механизм— " მექანიზმი.
Перелом — გადატეხა
Переработка—გადამუშავება.
Переохлажденіе—გადაცივება,
Песок—ქვიშა
мелкій—სილა.
Песчаный—ქვიშოვანი, ქვიშიანი
Песчаник—სილა-ქვა.
Плавленіе—დნობა, ლღობა.
Плавильный—სადნობელი, სალღობელი.
Плавкость—დამდნობელობა.
План—გეგმა.
Пласт—ფენი,. ნაკეცი.
«вышележащій—ზედაფენი.
нижележащій—ქვედაფენი.
Платина—პლატინიუმი.
Платинированный—პლატინ-ნარევი
Пламень—ალი, მხურვალება.
Планировка—მოსწორება' მოშანდაკება
Платина—საგუბარი.
Плотность—სიმჭირხნე, სიმქვრივე
Плотный—მჭირხნეული, მკვრივი.
Плохо вентилируемый—ცუდად გამოსანიავებელი.
Подсмольная вода—*) ფისიანი წყალი.
Поддувало—ქვეშემბერავი.
Подем—აღმართი.
Подцор—შეგუბება
Подкисленный—სიჟავ ნარევი, სიმჟავ-მიმატებული.
Подпятник—საქუსლე.
Поглощеніе—ჩანთქმა.
Последовательное соединеніе—შემდგომითი შეერთება.
Постоянный ток—მუდმივი ნაკადი.
Полый—ღრუ
Полость—სიღრუე, ფუყე.
Поперек—გარდიგარდმო.
Поперечный разрѣз—გარდიგარდმო გაჭრილი.
Подобный—დაგვარი.
Поверхность нагрѣва—სათბობი ზედაპირი.
Ползун—სრიალა, მცოცავი.
Поршень—ზუმბა
Потенціал—პოტენციალი.
Поры—ფორები.
Пористый—ფოროვანი.
Порох—წამალი, დენთი*)
Порог—ზღურბლი.
Порча—გაფუჭება, დაზიანება.
Почва—ზეადაგი.
Послойно—კეც-კეცად.
Порфир—პორფირის-ქვა.
Превращеніе—გადაქცევა, გარდაქმნა.
Предохранитель—დამცველი, მცველი.
Пресс—საქაჩავი.
„гидравлическій — „ჰიდრავლური.
„приводной—„მამოძრავი.
Препарат—პრეპარატი
Приклѣленный—მიკეთებული
Прикрѣпленный—დამაგრებული, მიმაგრებული-
Прикладная наука—პრაქტიკული, შერთული მეცნიერება.
Приводной ремень—მამოძრავებელი თასმა.
Припой—კავშირი.
Притяженіе—მიმზიდველობა
Провод—ბელარი.
„электрическій— „ელექტრონული
„голый—„შიშველი.
„изолированный— „განმარტოებული.
Продольный разрѣз—სიგრძეზედ გაჭრილი
Прозрачный—ვამსჭვირვალე.
Производный—წარმოებული
Промежуточный продуктъ—საშუალო, შუადი პროდუქტი
Продукт—პროდუქტი, ნაყოფი
Промысел—სარეწავი
Пропускная бумага—საწური ქაღალდი.

(შემდეგი იქნება)

*) თოფის წამალს ჩვენი წინაპრები დენთს უძახდნენ; ეხლა თუმცაღა თოფის წამალზე გაცილებით მეტი მზადდება „უკვამლო წამალი", „ბამბის წამალი" და სხვა, რომელნიც პირველისაგან განირჩევიან როგორც შემადგენლობით, ისე დამზადების საშუალებით, მაგრამ კარგი იქნება განვასაზოგადოვოთ და ყველა ამათ „დენთი" დავარქვათ,—მით უმეტეს, რომ არ ავრიოთ სამკურნალო წამლებთან. ვ. კ.

პროვინცია

ხმა სოფლიდან

პარტიის დავალებით საარჩევნო ყუთთან მოვხვდი. რაც მე აქ ვისმინე და ვნახე ნათლად მოწმობს ხალხის განცვიფრებას, რომელიც გამოიწვია მენშევიკებისა და ს.-ფედერალისტების ერთ-№ 1 ში—შეერთებამ. ხალხს არ დავიწყებია ის ეპიტეტები, რომლებითაც ეს ორი პარტია ერთი მეორეს ამკობდა განსაკუთრებით რევოლიუციის პირველ ხანებში.

ვალაპარაკოთ თვით ხალხი: „ფედერალისტები და მენშევიკები ჯერ ერთმანეთს ცხვირ-პირს ამტვრევდნენ, უმსგავსოთ ლანძღავდნენ, ლაპარაკს არ აცლიდნენ, ტრიბუნიდან ყრიდნენ და ეხლა შეერთდენ № 1-ში? ეხლა აღარ უნდათ ფედერალისტებს ბატონ-ყმობის აღდგენა, როგორც მენშევიკები ამბობდნენ?! ეხლა აღარ არიან მენშევიკები სამშობლოს მოღალატენი, მოძულენი, როგორც ფედერალისტები გვიმტკიცებდნენ—თუ როგორაა?! მაშინ იყვნენ მართალი, როცა ერთმანეთს მტრობდნენ ეს ორი პარტია, თუ ეხლა, როცა ერთმანეთს მოყვრობენ?! როგორ მივენდოთ ჩვენ მაგათ?! რა გზას დაადგეს საწყალი კაცი?" აი, ამაზე იტყვიან სწორედ: „რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკიო"... ზოგი სულ არ გამოცხადდა ყუთთან და, რომელიც გამოცხადდა, ბალსენელში ხვარდა, ან ექნა არ იცოდა.

ეს შედეგია იმისი, რომ ბრძოლით გატაცებულ მენშევიკებსა და ს. ფედერალისტებს ხშირად ავიწყდებათ ხალხი, რომელსაც ღრმად ხვდება გულში ყოველი საზოგადო მოვლენა. ამასთანავე, მწუხარებით უნდა აღინიშნო, რომ ქალები ძლიერ ცოტა მოდიოდა საარჩევნო ყუთთან. როცა საყვედურით მივმართე ამისათვის მ.-კაცებს; რისთვის თქვენი ქალები არ წამოიყვანეთ-თქო, მითხრეს: „რა იმათი საქმეა სიარული ასეთ საქმეებზე, სჯობს ოჯახს მოუარონ-"ო.

ასეთია დღეს სოფლის ვითარება.

ნინო ნადირაძე.

—:—

ხუნევის საზ. (შორ. მაზ.)

„ძელა მექათმედ დამდგარა
მწემსობას ჩემობს მგელიო".

აკაკი.

ერობის არჩევნების უკანასკნელი დღე იყო კვირა 2 ენკენისთვე. წინა დღე შაბათი იყო დანიშნული საინიტინგოთ. მთავრობის მოწერილობის თანახმად, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. უნდა მოსულიყო ამ კრებაზედ შორაპნის მაზრის კომისრის თანაშემწე, რომ ხალხისათვის აეხსნა ერობის მნიშვნელობა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დიდის სიმწუხარით უნდა აღინიშნოს ეს ფაქტი. ეს კუთხე მოკლებულია განათლებულ პირებს და—გასაკვირი არ არის თუ აქაური მცხოვრებნი გულ-გრილად უყურებენ მთავრობის მოქმედებას და უარყოფით იხსენიებენ მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მებოლშევიკე ჯარისკაცთა და პროვოკატორების მეოხებით. ძველი მთავრობის დროს წელიწადში სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც მოდიოდა მოქაული საზოგადოებაში და ხალხიც უხვდებოდა მას. დღეს კი ხალხისავე ამორჩეული მთავრობა განზე სდგას და ზოგიერთის წარმომდგენით სრულიადაც არ არსებობს. მართლაც ორი წლის განმავლობაში ხალხს მთავრობის წარმომადგენელი არ წვევია. ამიტომაც არის, რომ ხშირად გვესმის ხალხისგან: ჩვენ მთავრობა არა გვყავსო და უპატრონონი ვართო.

როგორც ვსთქვით შაბათს, 31 მარიობ. მათ მოწერილობის თანახმათ სოფ. კანცელარიასთან დიდძალმა ხალხმა შეიყარა თავი, დღის 12 საათზე უნდა მოსულიყო შორაპ. მაზ. კომისრის თანაშემწე. გავიდა 12 საათი, მოახლოვდა საღამოც, მაგრამ მოსასვლელი სტუმარი კი არსად სჩნდა. ხალხი დიდად უკმაყოფილო დარჩა ამით. დაბოლოს ადგილობრივმა კომისარმა გამოაცხადა, რომ ხალხი დაშლილიყო და მეორე დღისთვის შეკრებილიყო. ხალხი დაიშალა, მაგრამ სამწუხაროდ, მეორე დღეს მის ნახევარიც არ შეკრებილა. რა იყო აქ მიზეზი? ნუთუ ხალხმა შაბათს მოიცალა მიტინგზე გამოსასვლელად და -კვირე დღეს კი ვერა?

დაბოლოს, როდესაც აღარავინ მოვიდა, ნაშუადღევს მოიტანეს საარჩევნო ბიულეტენები ხარაგაულის რაიონის ერობისა. იქმნა ამორჩეული კომისია, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა არჩევნებისათვის. მაგრამ სამწუხაროთ, ვინც დაესწრო იმასაც არ მიუცია ხმა. რაში იყო საქმე? რა იყო აქ მიზეზი? ჯერ ერთი, რომ ხალხმ. არ იცოდა რა იყო ერობა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ თვით ხალხის სულისკვეთება რამოდენიმეთ ბოლშევიკურია, და მაშასადამე (ბლოკის) პირველი ნომერი მათთვის არა საჯურველია.

ამას გარდა თვით ადგილობრივი ადმინისტრაცია არ იდგა თავის სიმაღლეზე არჩევნების დღეს. იმის მაგივრათ, რომ არჩევნებისათვის დახმარება გაეწია, მან სულ სხვაზე დაიწყო ზრუნვა, დაგზავნა მილიციონერები, მომჩივნებს მოუყარა თავი. შეუდგა მათი საქმის გამოძიებას. ასეთი ადმინისტრაცია გუყავს სოფელში. სამწუხარო მოვლენაა. პატრონი არსაიდან სჩანს. ვგონებ, კიდეც მოიბოლშევიკებს ჩვენი კომისარი ტ, რა გასაკვირველია, რომ არსებულ კანონების ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუშალოს. ყურადღებას მაინც არავინ აქცევს.

„ლეონარდო" და—ვერ.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.